რა დაემართათ ამ ხალხს, რომ ასეთ სიტყვებს ამბობენ? მე ვლოცულობ ღამით, მაგრამ ასევე ვიძინებ, ვმარხულობ და ზოგჯერ ვტოვებ მარხვას, ვქორწინდები ქალებზე. ხოლო ვინც ჩემს სუნნას განუდგება, მას ჩემთან კავშირი აღარ აქვს!

გადმოცემულია ანასისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი): რამდენიმე ადამიანი მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) საჰაბებიდან მივიდა მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ცოლებთან და ჰკითხა, რას აკეთებდა იგი, როდესაც მას არავინ ხედავდა, გარდა მათისა. ამის შემდეგ ერთმა მათგანმა თქვა: "მე არ დავქორწინდები!" მეორემ თქვა: "მე ხორცს არ შევჭამ!" ხოლო მესამემ თქვა: "მე საწოლზე არ დავიძინებ!" როდესაც ეს ინფორმაცია მოციქულამდე (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მივიდა, მან ალლაჰი განადიდა და შეაქო და შემდეგ თქვა: «რა დაემართათ ამ ხალხს, რომ ასეთ სიტყვებს ამბობენ? მე ვლოცულობ ღამით, მაგრამ ასევე ვიძინებ, ვმარხულობ და ზოგჯერ ვტოვებ მარხვას, ვქორწინდები ქალებზე. ხოლო ვინც ჩემს სუნნას განუდგება, მას ჩემთან კავშირი აღარ აქვს!»

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

საჰაბებიდან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) ერთი ჯგუფი მივიდა შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ცოლების სახლებში და მათ ეკითხებოდნენ შუამავლის ღვთისმსახურების შესახებ, რომელსაც ის ასრულებდა სახლში სხვებისგან შეუმჩნევლად, როდესაც მათ აცნობეს თითქოს მათ ეცოტავათ ეს ყველაფერი და თქვეს: შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თუ ასე იქცევა მაშინ ჩვენი მდგომარეობა როგორიღა იქნება? მას წარსული და მომავალი ყველა ცოდვა ეპატია, განმსხვავებით იმის, ვინც არ იცის დაიმსახურებს თუ არა ალლაჰის შენდობას, ამიტომ მას უფრო მეტი ღვთისმსახურება სჭირდება, რათა გახდეს შეწყალების ღირსი. შემდეგ ერთმა მათგანმა თქვა: მე არ დავქორწინდები ქალზე. მეორე მათგანმა თქვა: მე ხორცს აღარასოდეს მივირთმევ. ერთმა მათგანმა კი თქვა: მე საწოლში აღარასოდეს დავიძინებ. როცა ამ ამბავმა მიაღწია შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ის გაბრაზდა და მიმართა ხალხს, ჯერ შეაქო და განადიდა ალლაჰი და თქვა: რა ემართებათ ხალხს რომლებიც ასე და ასე ამბობენ? ვფიცავ ალლაჰს მე თქვენს შორის ყველაზე მეტად ღვთისმოშიში და ღვთისმორჩილი ვარ, მაგრამ მე მთელი ღამეების ლოცვაში არ ვატარებ, და ზოგჯერ ვიძინებ, მთელ დღეებს მარხვაში არ ვატარებ არ, და ზოგჯერ ვწყვეტ მარხვას, და ვქორწინდები ქალებზე, ვინც ჩემ გზას ზურგს აქცევს და სხვა გზას უფრო სრულყოფილად მიიჩნევს და გაჰყვება ჩემი გზის გარდა სხვა გზას ის ჩემიანი არ არის.

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY

لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee